

1955

# БОЯЗОН

№ 9

გამოცემლობა „კომისიუსი“ წელი XXXIII.

ფასი 2 ბაზ. თბილისი გაისი

1955

ОДВАГУСТІВІЛІ СІНІВІЛІ

სიმინდი — თავშედომარე არ არის?  
ვდინანი — არ გახლავთ, ყანაშია წახული.  
სიმინდი — ვიცი, ვიცი, ეგ იხეთი კაცია, მეორედ მომიუვანს!





— ჩამდენი წლისა ხაჩ, ლრუტუნი?  
— ხეალ ერთი წელი შეგიხრულდება.  
— ეს, არ შეგიხრულდება ერთი წელი, ჩადგან ჩვენს ფერზის გამგებ დღეს ორშოცი წელი უხრულდება.

კარი მოულოდნე-  
ლად გაიღო, თუმცა  
გაიღო რა სათქმე-  
ლია, — თითქოს გადა-

წყდა, მიეზღურთა კედელს. აგრონომმა მაინც მოასწრო უჯ-  
რაში ჩაერგო თავი და ქალალდები ამოექოთებინა..

— აქა ხაჩ! — ოდნავი საყვედურის კილოზე გაისმა მტრ-  
ის დირექტორის ხმა, — ნატევის ხოდაბუნებში ჩადი, ბიქები  
დააჩქარე, ძლივს გამოიდარა, დათესვა უნდა მოვასწროთ...  
ესეც შენთან იყოლიე, ვიდრე უბანში გავვგზავნიდეთ... აუსე-  
ნი, დაარიგე... — სხაპასეუბით წარმოთქვა მან და ვიდრე აგ-  
რონობით თავს აიღებდა, ვიდრე მოასწრებდა ეთქვა, გვემის  
შესრულების ცნობას გავვგზავნი ახლავე და ამწუთში გავვშუ-  
რებიო, დირექტორი უკვე იქ აღარ იყო. კარის დირექტორი  
ლოდ ვიღაც წოწოლა ბიჭი იდგა, ამაყად ატრიიალებდა თვა-  
ლებს, მიწვევას, თხოვნას როდი ელოდებოდა, არჩევდა სადა  
სჯობდა, რომელ მაგილას მისჯობომოდა.

აგრონომმა ტუჩები გაბუსხა, კიდევ უფრო აჩქარებით  
მიყარ-მოყარა ქალალდები, უჯრა მიაზღურთა, უმალვე გამოს-  
წია ჭრიალით, ხრჭიალით; კაი ძარღვები უნდოდა იმ ხრჭია-  
ლის გაძლებასა, აგრონომს ცოტა არ იყოს შეაგრიალი, ხო-  
ლო ბიჭს აინუნშიაც არ ჩაუგდია, მთავარი აგრონომის მა-  
გიდას მიუჯდა და მაშინვე ტელეფონზე გადასდო ცალი ხე-  
ლი, ხოლო მეორე ხელს დაფიქრებული თავი დააყრდნო.

აგრონომს სხვა რაღა შეეძლო: თუ ბრაზობდა, ისევ  
უჯრა უნდა მიეზღურთებინა, ისევ გამოელო ჭრიალ-ხრჭია-  
ლითა, რათა ოდნავ მაინც განელებოდა სიბრაზე, მაგრამ რო-  
დებდის უნდა ეხრჭიალებინა, როდის ელირსებოდა აქედან  
გასკვა, როდის დარეკლა... ჩამდენჯრ უთხრა, რამდენი უჩი-  
ჩინა, ადრევე დამირეკე, დილააღრიან გავდივართ მინდვრებ-

შიო, ნუ მალოდინება,  
უხერხულიაო, მაგრამ  
არა, არ იქნა, არ  
გასპრა, ალოდინება...  
ლოდინი არაფერი, მაინცდამაინც არაფერი, — საყვედური:  
„ისევ აქა ხაჩ?“ ამ ახალი თანამშრომლის აკიდება? — „აუხსე-  
ნი, გააგებინე...“ წადი და გააგებინე, როცა შემოსვლისთანა-  
ვე დიდეკაცის იერით წამოსკუპდა... აქ აგრონომმა მაგიდის  
კარი გამოაღო და ფეხით მიახეთეა. მაგრამ ფიქრმაც და  
ბრაზმაც გაუარა მყისვე, — ტელეფონი აწერიალდა.

ახალგაზრდამ მაშინვე აიტაცა სასმენი და რიხიანად  
ჩასძიხა:

— ალო! — ფიქრიანად მოუსმინა, დინჯად შეებასუხა, —  
აქ გახლავთ, ახლავე! — და სასმენი გაუწოდა აგრონომს.

აგრონომმა სასმენი მოიმარჯვა, მოუსმინა, უბასუხა, გა-  
უწყრა, დაემუქრა, სასმენი დასდო და ახალმოსული დაარიგა:

— სად გაგონილა ასეთი პასუხი: „აქ გახლავთ!“, „ახ-  
ლავე!“ განა შეიძლება ამ ცეცხლისკიდება მუშაობის დროს  
კაბინეტში ჯდომაში! კიდევ კარგი, უბნის აგრონომი იყო!..  
მაგრამ ვთქვათ რაიკობის დდივანი ყო-  
ფილიყო?! ასე არ შეიძლება, არა...  
ფრთხილად, ძალიან ფრთხილად უნდა  
უბასუხო...“

— ააა... — გაგრძელებით ამოიძახა  
ახალმოსულმა, თვალები აუციმციმდა,  
მრავალმნიშვნელოვანი ღიმილი აუთა-  
მაშდა სახეზე... აქ ტელეფონმა ისევე  
გაიწერიალა, ისევე ექვეთა ახალმოსული,  
კიდევ უფრო სწრაფად და გულმოდგი-



ნედ ეკვეთა სასმენს.—ვინა გნებავთ? ახ,—აღმოხდა გაოცებით,—განა შეიძლება ამ ცეცხლისკიდება მუშაობის დროს ჯაზინეტში ჯდომა! არა. არა, გნაცვალე, აქ არ არის... მინდორშია... ვერ გეტყვით როდის დაბრუნდება... ან რა დააბრუნებს შუალამებდე!..—თქვა ეს და კმაყოფილებით გადახედა აგრონომს, ხომ კარგად ვუთხარი, ხომ კარგად დავისწავლე გაჭვითლიო.

მაგრამ აგრონომი არა ჰგავდა ისეთ აღმზრდელებს, რომლებიც პირველივე გაკვეთილით აღტროვანდებიან, მოწონებას ადვილად გამოთქვამენ, ქება იოლიდ წამოსცდებათ. მან მხოლოდ ტუჩებში ჩაილიმა, ოდნავ, მალულად ჩაილიმა. ოლონდ გულიც რომ არ გაეტეხნა მოწაფისათვის, ზომიერად წაექებინა, უბრალოდ, თითქოს გულგარეშე იქითხა, ხმა კაცისა იყო თუ ქალისაო?—პედაგოგიურია, არა? რა თქმა უნდა, ზომიერი პედაგოგიური მიდგომა უნდა იყოს, — თავს რომ არ წაუვიდეს წარმატებისაგან; ასევე ითქმის იმ მრისხანე ამოძახილზე, რაც მოჰყავა მოწაფის პასუხს, — ქალისაო... ახალგაზრდა ქალის ტკბილი, მოალერს ხმამ...

— გის გადაეცარე!—მართლაც მრისხანედ აღმოხდა აგრონომს,— ამდენი მიხვედრილობა, ამდენი აღლო როგორ არა გაქვამი! ან ტელეფონთან ჯდომა ვინ დაგავალა?! ადექი, მოშორდი მანდედან!

ახალგაზრდა აიზუხა, ფანჯარასთან მიიკუნპა.

— აგრონომი ბოლთასა სცემდა, თითებს მუჭავდა. კრუნჩხავდა გულმოსულად. ამაოდ ჩაიარა ამდენმა ლოდინმა. რა წყალს მიეცეს. რა იღონოს? კიდევ დარეკავს? რაღას დარეკავს— „მინდორშია, არ დაბრუნდება...“ ახ, ეს მეტი ჩარა ბიჭი! ბედიმდევარი ხომ არ არის?! მაშ რა იქნება, ძლიერ საქმე საქმეზე მოვიდა და ჩაუშალა, ნამდვილად ჩაუშალა... როგორლა მისწვდეს? სად გისწვდეს? ვინ იცის. საიდან დარეკა? წასვლა მაინც შეიძლებოდეს! ეს ვერანი წვემები, ესეც ბედისაგან თუ იყო! მაშ რაო... თუ წვიმდა, ეწვიმა, რაღა დღეს გამოიდარა? წვიმა არაფერი, გამოდარებაც არაფერი, მხოლოდ ეს მეტიჩარა ბიჭი! ახ!

და ტელეფონი ისევ აწკრიალდა. აგრონომი ქუსლებზე შეტრიალდა, ისკუპა, ხელი გაიწოდა, მაგრამ ჰაერშივე შეცივდა ხელი... ეგებ ვინ იყო... ფანჯარასთან მიკუნკულ ყმაწვილს გადახედა, ნელ-ნელა დაიხია უკან, თავის ადგილას დაჯდა... ტელეფონი წკრიალებდა გაბრით, დაუინგებით. ახალი თანამშრომელი ადგილიდან არ იძეროდა. აგრონომს მომინების ძაფი გაუწყდა.

— უბასუხე!— წყრომით ამოიძახა აგრონომმა, თუმცა ამ ამოძახილში წყრომასთან ერთად იმედიც იგრძნობოდა, რა თქმა უნდა, ამდენი შეგონების შემდეგ წესიერ პასუხს მოახერხდა და აკი მოახერხა კიდეც!

— აქ გახლავთ...— სასმენს სიამით ჩასახა ახალმოსულმა, — აქ არის, გელოდებათ... უკაცრავად წელან რომ დაგიმალეთ. რაიკომიდან მეგონეთ და, ხომ იცით, ჰა, ჰა, ჰა... ახლავე!— და მძიმე ჯავრმოცილებულივით გაუწოდა სასმენი აგრონომს.

აგრონომმაც ჯავრმოშორებულივით ჩამოართვა სასმენი, ისე გადახედა, რომ აგრონომინა უკვე ყველაფერი მოგიტევეო. მაგრამ...

არის მდგომარეობანი, რომელთა გამოხატვაც შეუძლებელია, უთქვამთ დიდ მხატვრებს. თუმცა არ იფიქროთ, თითქოს ასეთ მდგომარეობას მივდგომოდეთ. არა, აქ გამოსახატვაც მეტად იოლ მდგომარეობასთანა გვაქვს საქმე; ეს გამოითქმის „ჭირის ოფლით“, „მუხლების ცახცახით“, „აკანკალებული ხმით“, „დაბნეული პასუხებით“, „ამლვრეული თვა-

ლების ცეცხლით“... დიახ, ამ სიტყვებით იოლად გამოიხატება აგრონომის მაშინდელი მდგომარეობა, მაგრამ არ გვინდა წარმოვიდგინოთ დამცირებული ვაჟეცა, ერთი სიტყვის გაგონებისთანავე გათავებული აღამიანი. ახალმა თანამშრომელმა კი იხილა ეს გათავება თუ განახევრება აღამიანისა და მაშინვე მიხვდა, რომ ეს ხმა, რაც მან ახლა ტელეფონში მოისმინა, წელანდელი ხმისგან დიდად განსხვავდებოდა; წელანდელი ხმა უცნობი იყო; ეს ხმა კი კარგად ეცნობოდა, ძალიან კარგად. ასე მალე რა დაავიწყებდა. განა გუშინ არ ესაუბრა მათ—სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ახალდამთავრებულებს— რაიკომის მეორე მდივანი?— რატომ მაშინვე ვერ მიხვდა? რამ დააბნია? მაგრამ ვერანდა იყო, ისლა მოახერხა, რომ ფეხაქრეფით გაიძურწა კაბინეტიდან.

ბევრს ეცადა დამალულიყო. მაგრამ ვერსად დაიმალა ახალი თანამშრომელი, მიაგნო აგრონომმა, საყვედური არ უთქვამს. არც სიტყვით, არც თვალებით. ნატბევის ხოდაბუნებში წაიყვანა, ერთ სათესს მიუჩინა... ხოლო თვითონ ერთიდან მეორეზე გადადიოდა. მეორიდან— მესამეზე, უფრო ხშირად რუსთან მირბოდა და ისხამდა წყალს პირისახეზე, ყელ-კისერზე... მაინცა სდიოდა ოფლი, ოფლად იღვერებოდა... ჰო. მხურვალე დღე იყო, თუმცა არც ისე მხურვალე... არა, არც ისე მხურვალე...

სალამს მტრის დირექტორმა ჩამოიქროლა მანქანით, აგრონომი და ახალი თანამშრომელი ჩაისხა.

— როგორი ბიჭია, ივარებს?— იქითხა დირექტორის.

— რა ვიცი. — დაბნევით მიუგო აგრონომმა,— ალო... ალო... ჰო... ჰო, ალო არ უნდა ყოფნიდეს...

— არაფერია,— დაატანა დირექტორმა, — ახალგაზრდა, გამოიცდება... ალო გამოცდილების შედეგია.

მხე ჩასულიყო, აგრილებულიყო, აგრონომს ისევ ოფლი შემომძივებოდა ყელზე.

ოთარ ჩხეიძე



# გეროვლათობა და უღრვლათობა

— მილებულია შიფერი! ვის გინდათ შიფერი? მე მიმაქვს სამოცდათი ცალი. ვის სურს მეტი?

გაიმართა „საჯარო ვაჭრობა“ ნოირზე. ვაჭრობას ხელმძღვანელობდა ნოსირის სტალინის სახელობის კოლეგურნეობის თავმჯდომარე სერგო ბესელია.

— ასი ცალი ჩემთვის!

— კი, ბატონო, ასი ცალი ამხ. ნ. ჯიას, ცხაკაიას პირველი უბნის სახალხო განსამართლებულის! კიდევ?

— ას ოცი ცალები! — ყვირის ვილაც ხრინწიანი ხმით.

— ას ოცი ცალი ამხ. ფოჩხუას, ცხაკაიას რაიალმასკომის სავაჭრო ვაკუმფილების გამგება! — მისცა დასტური ბესელიამ. — კიდევ?

იქვე ბოსლიდან გაურკვეველი ზმუილი მოისმა. — მმმ!.. მე... მმმ!..

— ჩვენი მრავალტანჯული ძროხები და ხმოები იძახიან, პატივცემულობესელი! ჩანს, მათაც სურთ საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა... — „თარგმანა“ ზმუილი ბესელიას ერთ-ერთმა გულშემატევიარება.

— ბოსლის — ორის ოცდახუთი ცალი! — მოწყალება გაიღო ბესელიამ.

— მმმ!... — იყო პასუხი.

— არ გვეყოფაო, — გადათარგმნა კვლავ გულშემატევიარება.

— ეყოფათ, ამის ლირსიც არ აჩიან, მაიც არ იწველიან სამგლევები!

ძროხებმა კიდევ დაიზმუილეს — რაიკუშირიდან ბოსლის გადასახურავიდ მიღებული 1700 ცალი შიფერიდან „საჯარო ვაჭრობით“ ჩვენს ბოსლი 225 ცალზე მეტი რატომ არ ერგორება!

— ეგ სამგლევები!.. — ლეარძლიანად გაიმეორა ფიქრებში წასულმა ბესელიამ.

კიდევ კარგი, ძროხებმა ლაბარაკი არ იციან, თორებ ბესელიას საყველურის არ შეარჩენდნენ. აბა, რა იმათი ბრალია, რომ ერთი საფურავე ძროხის წველადობა, ნაცვლად ნორმით დაწესებული 750 ლიტრისა, 89,7 ლიტრს უდრის! მაშ, ესეც ძროხების ბრალი ყოფილა, რომ სიმინდის საშუალო მოსავალი ჰქექტარზე 4,97 ცენტრერს შეადგენს! ან იქნებ ძროხებმა შეკამეს მოუვლელობით გაფუშებული 53,3 ჰქეტარი ჩაის ბლანტაცია?! კარგი საქმეა, თქვენ ნუ მომიკვდებით, ყველაფერი ძროხებს გადააბრალო! ძროხები ხომ ვერ შეაღწევდნენ სახბანკის რაიონულ განყოფილებაში, სადაც კოლმეურნეობის შესვეურთა უთავბოლობის გამომათ კუთვნილ 70,465 მანეთს ყადალა აქვს დადებული?

— ე უკვე ძროხები კი არა, სხვადასხვა ორგანიზაციები ჩივიან, — ვალი გადაგვიხილეთო. მაშ მარტო ძროხებზე რად იყარა ჯავრი სერგო ბესელიამ, როცა იმათ სადგომს 1475 ცალი შიფერი დაკლო? მაგრამ რა ქნას ბესელიამ, ერთს თუ არ აწყენია, მეორეს როგორ ასიაშონს! ის ხომ „გულშემობას“ საკოლმეურნეო დოკუმენტის ხარჯზე იჩენს.

მისი ბედოვლათობის ბრალია, რომ დღემდე 162 კოლმეურნეს კუთვნილი 30,175 კილოგრამი სიმინდი არ მიუღია ზოგჯერ რა უმართებულონი გართ ხოლმე! ბედოვლათობა რა მოსატანია; ეს ხათრის ბრალია. იმ 162 კოლმეურნეს რომ კუთვნილი სიმინდი წაეღო, მაშინ ა. ალანია, ვ. რობაქიძე, ა. კუპრაშვილი და გ. ოდიშარია როგორლა

მიიღებდნენ ზედმეტ სიმინდს! ან, თუნდაც, საწყობის გამგე შ. ოდიშარია ან თვითონ ს. ბესელია როგორ მიმთვისებდა (კუთვნილის გარე) კიდევ 2493 კოლოგრამ სიმინდს! ფიქრის კაცია ს. ბესელია და დაფიქრებულად მოქმედებს. მის „ხათრიანობას“ უნდა მიეწეროს ისიც, რომ ბრიგადირების ა. ბესელიას და ა. ოდიშარიას, მელორეობის ფერმის გამგის მ. კინტირიას, საწყობის გამგის ა. ოდიშარიას და სხვათა ოჯახის წევრები საკოლმეურნეო შრომაში არ მონაწილეობენ. 28 შრომისუნარიან კოლმეურნეს დღემდე არც ერთი შრომადღე არა აქვს გამომუშავებული. რა ქნას, ხათრიანი კაცია, ნუ დავძრახავთ! ბესელიას „ხათრიანობა“ კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის წდივან ა. ქაჯაიასაც გადასცებია. შესკერის იგი ბესელიას შოქმედებას და ხმას არ იღებს. ან როგორ ამოიღებს ხმას, როცა პირი ბურ-მარილითა აქვს სავსე? ჯერ ისევ შარშან ბესელიამ „ხათრით“ 600 შრომადღე დაუწერა ქაჯაიას, სესხად 258 კილოგრამი სიმინდი და 1566 მანეთი ფული მისცა; ქაჯაია კი „ვალის“ დაბრუნებას დღესაც არ ფიქრობს.

გამგეობა რაღას აკეთებსო? — იკითხავთ. რას უნდა აყეთებდეს, — სწორედ ზემოხსენებული ქაჯაია, რომელიც სოფლის სკოლის მასწავლებელია, კოლმეურნეობის წევრიც არ იყო, როცა გამგეობის წევრად იირჩის. აბა, ასეთმა გამგეობამ რა უნდა გააქეთოს?

მუდამ ასეა: კოლმეურნეობის თავმჯდომარის წამგლევებასა და ბედოვლათობას კოლმეურნეობის უღლელთობა მოსდევს ხოლმე.

## 6. ივანია

ნამ. ი. გორდელაშვილი



გადაჭიმის გამო — ამ წიგნში ახალ სახიერაოს რომ წარკითხავს ჩვენი მიზანთველი, ტყავს მაძრობს ხოლმე, მაღლობებზე კი ჩხას არ იღებს...

გადაჭიმის გამო — ამ წიგნში ახალ სახიერაოს რომ წარკითხავს გადაჭიმის გამო?

გადაჭიმის გამო — განა ცოტა მაქვე მიღებული მიხი მოგახისავან და ჩათესავა-ახლობელთაგან!

## იცნობი?

### 1.

უნივერსალს არ შორდება იგი, სეზონური უყვარს „თაღარიგი“, — არ ინგებოთ!.. საკოსტუმე ნაჭერს! — ჩაგრუნჩელებს, თან ფეხს ფეხზე გაჭერს.

დღენიადაც კარებში მდგარს ნახავთ, ეს „უშტატო გამყიდველი“ გახლავთ.

### 2.

კინოს წინ დგას... აბა, ვინ გაეიცხავს! სალაროსთან მისადგომების იცავს, — ამ სეანსის ბილეთები გნებივთ? საშმაგ ფასზე ნაელებ არ იქნება!

თუ დათანხმდით, სურათს მაშინ ნახავთ, ეს „უშტატო დახლიდარი“ გახლავთ.


### 3.

ბალში ზის და ფეხის ქირის ითხოვს, ბინის საკითხს აწესრიგებს თითქოს, არც ერთ „კლიენტს“ არ გაუშებს უკან, გადაუშლის მთელ თბილისის რუკას!

ამ კაცს მუდამ ბალის თაეში ნახავთ, ეს „უშტატო სახლმართველი“ გახლავთ!

ხვერდი





# ურთიერთ ჩვეულება



## ვ ი ზ ი გ ი

პროფესორმა ა.-შ ვახშმად დაპატივა პროფესორი ბ. წევულების დასასრულს კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა. „გარეთ გასვლა შეუძლებელია, ჩემთან უნდაგაათიოთ“,— შესთავაზა სტუმარს პროფესორმა ა.-შ, საწოლ ოთახში შეუძლვა და ლამენებისა უსურვა.

ცოტა ხნის შემდეგ სახლის პატრონმა ქვლავ შეიხედა ოთახში, მაგრამ იქ აღარავინ დახვდა. მთელი სახლი გადააბრუნეს და ვერსად იპოვნეს სტუმარი. უკცრად ზარმა დარეკა, კარგბთან იდგა პროფესორი ბ.— თავიდან ფეხებამდე დასველებული: „ზაპატივთ, კოლეგა,— კბილების კაწეაწით წარმოოქვამან,— სახლში გახლდით, ლამის პერანგი წამოვილე“.



პროფესორი — შეფარდებითი თეორიის სპეციალისტი — ექსპრესით მგზავრობდა; თავ-ბრუდამხვევი სისწრაფით მიმქროდა მატარებელი. „თუ შეიძლება მითხარით, — ზრდილობიანად მიმართა პროფესორმა კონტრლიორს, — როდის გაჩერდება შემდეგი სადგური ამ მატარებელთან!“

## გ ა მ თ ს დ ა ს ა

— ბატონო კანდი-დატო, აბა, მითხარით, რა არის ურანი?

— ?...

— არ იცით? კე-თილი. პელიუმი რაღა არის?

— ?...

— არც ეგ იცით... კეთილი, კეთილი. გაშ ეს მაინც მითხარით, რა განსხვავებაა... ჰე... ურანია და პელიუმის შორის?



## პროფესორი ღონ-ჯანის როლი

ახალგაზრდა ქალმა შეიარა უნივერსიტეტში, რომელიც რამდენიმე წლის წინათ პეტრიდა დამთავრებული. აქ ის შეხვდა თავის ძველ პროფესორს. „აღარ გახსოვართ? — პეითხა ქალმა, ნუთუ დაგავიწყდთ — ცოლად გამოყოლას რომ მოხვედით?“ „დიახ, რა თქმა უნდა! წამოიძახა პროფესორმა. — დიახ, დიახ, გახსენდება... მერე და გამომყევით ცოლად?“



ნარ. ა. ბანძელაძესა

— ახლავე ამოვილება ქბილს, თლონდ თხი სათიხ განმაგლობაში არ უნდა ჭამოთ!  
— თცდათხი სათი იყოს, ხინოორ, შეჩვეული ვარ.

# უკიძეს

# მაგისტრი

საქონლი

„თუ იმ გალიაზე, სადაც სპილოა დამწყვდეული, წარწერილია „აქ მოთავსებულია ქამეჩი“, ნუ დაუჯერებ შენს თვალებს“, წერდა ნეტარხსენებული ბრძენი კოზმა პრუტკოვი. ვინც კოზმას ამ შეგონებას არ გაითვალისწინებს, საქე უსათუოდ ცუდად წაუვა.

აი, რა მიამბო ერთმა ჩემმა ნაცნობმა:

— ამას წინათ მივლინებაში გამგზავნეს... — დაიწყო მან, — ორი სოფელი უნდა მომევლო — ზემო-მაჩხაანი და ქვემო-მაჩხაანი. სასწრაფოდ მოვამზადე ჩემოდანი და ახლა საცნობარო ლიტერატურას მივმართე. ხელში მომხედა ვეგებერთელა წიგნი „საბუთები საქართველოს ისტორიისათვის. სერია II. ტომი I. პროფ. შ. ჩერიას რედაქტიოთ“. წიგნს წარწერილი ჰქონდა, რომ იგი „დაიბეჭდა საბრევი სამმართველოს სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით“.

— ამაზე სანდო წყარო სადღა მოიძებნება-მეთქი, — წამოვიძახე, გადავშალე წიგნი, მოვნახე „გეოგრაფიული მაჩქენებელი“ და აქ, 871-ე გვერდზე ამოვიკითხე, რომ ორივე სოფელი, ზემო-მაჩხაანიც და ქვემო-მაჩხაანიც, ძველი საარქივო საბუთების მიხედვით, თურმე შედიოდა „სენაკის ოლქის“ ფარგლებში. ვიცოდი, რომ სენაკი ახლა ცხაკაია ეწოდება. მეც მეტი არაფერი მინდოდა. პირდაპირ სადგურისაკენ გავეჭანე, აღნიშნული წიგნიც თან წავილე, რომ გზაში გადამეოვალიერებინა და თავი გამერთო. ჩემი მოგზაურობის პირველი ეტაპი იწყებოდა.

მაგრამ რა ვიცოდი. რაოდენი სატანჯველი მომელოდა წინ. ამდენი ხიფათი არ შეხედრიათ არც „მწუხარე სახის მოგზაურ რაინდს“, არც გამოჩენილ მთამსვლელს ტარტარენს, მეციდრს ტარასკენისას, არც უშიშარ გულივერს, არც ჰარცე მოგზაურობის ავტორს, არც მოკალმასე ბერს იოანეს.

ჩემი სატანჯველი სადგურშივე დაიწყო. როგორც კი იმ სალაროს მივუახლოედი, სადაც ბილეთებს ჰყიდიან ფოთისა და სოხუმის მატარებელზე და განვუცხადე: ქვემო მაჩხაანამდე ბილეთი მომეცით მეთქი, მოლარე ქალმა ისე შემომხედა, როგორც უცე-რიან შეშლილთა სახლიდან სანიტართა დაუდევრობის წყალობით გამოქცეულ პარიენტებს.

— მოქალაქევ, კახეთის სალარო აგერ პირდაბირ გახლავთ...

— მერე და ვინ მოგახსენათ, რომ მე კახეთში მივდივა!


ქალმა სალაროს ფანჯრიდან უკან გაიწია, შევატყე, რომ მართლა ელექტრონის ქუჩიდან გამოქცეული ვეგონე.

როცა მოლარემ გული მოიცა, დაუმატა:

— ეგ სოფლები ერთი წითელწყაროს რაიონშია, მეორე — სილანისაში... თქვენ კი ცხაკაიასკენ აბირებთ გამგზავრებას... ლეგერთო ჩემო, ეს ხომა...

„სიგივეათ“, უნდოდა ეთქვა, მაგრამ ილარ დაამთავრა. მე სასწრაფოდ ის ვეგება ტომი გადავაწოდე, წაიკითხა, ფერი სულ დაკარგა და შერე ბილეთი მომაწოდა.

ფოთის მატარებელში რომ ავედი, მგზავრებს ეგამოვეტა ლაბარაკე. როცა გაიგეს, რომ ფოთის მატარებლით კახეთში მივდიოდი, აქაც ყველამ გვერდზე გაიშია, ჩემს გარშემო კუპეში ადგილი დაცარიელდა. მე ეს აინუნშიც არ ჩავაგდე, ვიფიქრე — მეცნიერება ასე ამტკიცებს და თქვენ რა გესმით-მეთქი. მერე თავვეშ ის ტომი ამოვიდე და არხეინად მივიძინე.



კონდუქტორმა ცხაკაიას სადგურზე გამალვიდა. სასწრაფოდ ჩამოვედი და ტაქსისაკენ გავეჭანე. კაბინის კარი მოვიხურე და შოფერს ვუბრძანე:

— აბა, პირდაპირ ქვემო-მაჩხაანში წამიყვანე...

შოფერმაც ეჭვით შემომხედა და მითხრა:

— ძალიან ძვირი დაგიჯდებათ...  
— რატომ-შეთქი, — ვეკითხები.

— იმიტომ, რომ აქედან მთელი იმერეთი უნდა გადავჭრათ, ლიხზე გადავიაროთ, თბილისში ჩავიდეთ და მერე იქიდან კახეთისაკენ... არა, ეს შეუძლებელია...

აქ კი იავსო ჩემი მოთმინების ფიალა, ფერი მეცვალა და შოფერს ვუყვირე:

— გიბრძანებ სარქივო სამმართველოს სამეცნიერო საბჭოს სახელით ახლავე წამიყვანო კახეთში, რომელიც მდებარეობს აქვე, სადღაც, ქალაქ ცხაკაიას მახლობლად.

შოფერმა დაკვირვებით შემომხედა და... წარმოიდგინეთ, დამთანხმდა, წაგიყვანო — შითხრა, მერე მოტორი ჩართო, საითლაც ვამაჭანა და ათითდე წუთის შემდეგ ქალაქში ერთ შენობასთან გამაჩერა.

იმ შენობიდან თეთრხალათიანი სანიტრები გამოცვიდნენ, ხელი მტაცეს და უეცრად პალატაში იღმოვჩდი...

აბა, რალა ბევრი გავაგრძელო. თურმე რაიონის საავადმყოფში მიმიყვანა. აქ უქიმმა გულდასმით გამსინჯა, მე მასაც ის წიგნი გადავუშალე და ძლიერ დაუარწმუნე, რომ არავთარი სულით ავადმყოფი არა ვარ...

მეორე დღეს პირში ჩალაგამოვლებული გამოვეშურე თბილისისაკენ.

ასე დაამთავრა თავისი ამბავი ჩემმა ნაცნობმა.

\* \*

მორალი იმ იგავისა ის არის, რომ საჭიროა კომენტარიებიც, ყველა ისინი, ვინც ამ საგნობრივ თუ გეოგრაფიულ მაჩქენებლებს აღენენ — სათანადო პასუხისმგებლობით ეპყრობოდნენ მინდობილ სამუშაოს... განა ეს ერთი მაგალითია, რომ საფეხმავლით სერიოზული, კარგი გამოცემების კომენტარებში გასაოცარ უაზრობის და უმეტესობის წააშედებით!.. ასეთი ამბები ჩვენში ჯერ ისევ ხშირია... ეს კი როდია მოსაწონი.

8. ნაფირზვილი



1. უნიჭო მეცნიერი ღისერტაციას იცავდა, მსმენელი ყურებს.

2. ცირკის ღირექტორსაც აღმოაჩნდა იღუპიონისტის ნიჭი—მაყურებელთა მოთხოვნა ახალი პროგრამის შესახებ. ერთ ყურში შეუშვა და მეორეში გამოუშვა.

3. ფაბრიკაში ფეხსაცმელების უმრავლესობას აქიდევსის ქუსღი ჰქონდა.

4. გამოფენაზე ერთმა სურათმა მიიჰყო ყურადღება: ავტორი იღგა და თავის სურათს აქებდა.

5. ამინდის ბიუროს თანამშრომელი ქარებმა მოკვდა და აჩავის სკეროდა—კიდევ გვატყუებსო.

6. მონაგირე ამტკიცებდა—მოვარეზე ადამიანები თუ არა, კურდღები უსათუოდ იქნებიან: ჩემი ძალი ტყუიღდ არ შეჰყეფდაო.

7. მაღაზიაში ისეთ სათევზაო ბაზებს ყიდნენ, რომ წყალი არ გაუვიდოდა.

8. როგორ გადავფრინდებით სხვა პლანეტაზე, რომ ღიამინაც შევისწავლოო—ნატრობდა ობსერვატორიაში ჩავეტიდი ასტრონომი.

შეადგინეს ვ. ზიფიანი და ნ. დუდაძე



— „ჩვენ ხვალ ფეხბურთზე წავალო“, — ჩოგორი წინა-დადებაა, თამაზ?

— კარგი წინადადებაა, მასწავლებელო, ბილეთებს შე გიშვიცი.

### რიგის არის და რიგის

ნახ. ა. კანდელაკია



1.—რიგი, რომელიც დრამატურგისა და თეატრის რიგიან შუშაობაზე ლაპარაკობს.



2.—რიგი, რომელიც მძართველის ურიგო შუშაობაზე ლა-ბარაკობს.

რედაქტორი—ვახტანგ ჭელიძე.

166

4/4

55

სარადაციო ქოლეგი: ა. ბელიაშვილი, მ. გიგინევიშვილი,  
გ. თორილია, ქ. ლორთქიფანიძე, ხ. ფაშალიშვილი, გ. ჯაში.

თბილი. Сатирико-юмористический журнал „Ниаги“. Редакция: 80 с. 70×108 1/2, 0,5, ნაბ. ფურც. 187. ბაზია კოსტოკას სტამბა, რუსთაველის პროსპ. 42,

გამომ. № 9, ხვლმოწ. დასაბ. 28/V-1955 წ. ქად. ზომა 70×108 1/2, 0,5, ნაბ. ფურც. 187. ბაზია კოსტოკას სტამბა, რუსთაველის პროსპ. 42,  
გვ. 997 ფ. 04497 ტრ. 25.000

55-1667

იქოვებული  
ბიბულითება

